ომის მონაწილე ვეტერანების გამოცდილებები, ფსიქიკური ჯანმრთელობა და გამკლავების მექანიზმები

ანი ასლანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფსიქოტრავმატოლოგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა (ფსიქოტრავმატოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ასლანიშვილი,

ივნისი, 2024 წელი.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ნინო მახაშვილს დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

მადლობა ფონდი „გლობალური ინციატივა ფსიქიატრაში - გიფ თბილისის“ პროექტ „სოლაციუმის“ გუნდს, გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებული მადლობა პროექტის ფსიქოლოგს/ფსიქოტრავმატოლოგს, ანა პაპავას და კოლეგას, ამავე პროექტის მოხალისეს, ქეთევან მამუჩაშვილს კვლევის პროცესში გაწეული უდიდესი დამხარებისთვის.

მადლობა ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის მცხეთა-მთიანების რეგიონულ წარმომადგენლობას წეროვანსა და დუშეთში, მასპინძლობისა და დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

საქართველოს უახლესი ისტორია საკმაოდ დატვირთულია ომისა და საომარი მოქმედებების გამოცდილებებით, მსოფლიოს მასშტაბით არაერთი ქვეყნის გამოცდილება და შესაბამისი კვლევები გვიჩვენებს რომ ომის გამოცდილება, როგორც ტრავმული და სტრესული მოვლენების ერთობლიობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმ ადამიანების ფსიქიკურ ჯანრმთელობაზე, ვინც ექცევა აღნიშნული მოვლენების გავლენის არეალში.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ომის გადატანილ გამოცდილებებთან დაკავშირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების შესწავლას ომის ვეტერანებში და გამკლავების რა მექანიზმებს იყენებდნენ/იყენებენ ისინი შეცვლილ რეალობასთან და საკუთარ მდგომარეობასთან გამკლავებისთვის. კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ, გამოყენებული იყო ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. წინასწარ შემუშავებული ჩაღრმავებული ინტერვიუს გზამკვლევი მოიცავდა შეკითხვებს შემდეგ საკითხებზე: დემოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები (ასაკი, სქესი, განათლება, დასაქმება, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, ვეტერანის სტატუსი - საომარ მოქმედებში ჩართულობა და სტატუსის მინიჭების დრო); ამჟამინდელი ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები, პრობლემები და საჭიროებები, როგორც ვეტერანის, ასევე მისი ოჯახის წევრთა; მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა - ვის და რატომ მიმართავენ ან ვერ მიმართავენ; გამკლავების მექანიზმები და სტრატეგიები, რომლებსაც იყენებდა და ამჟამად იყენებს აღნიშნულ სირთულეებთან გამკლავებისთვის.

შედეგები: კვლევის შედეგად გამოკითხულ რესპონდენტებს შორის გამოვლინდა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები, ასევე გამკლავების ეფექტური და ნაკლებად ეფექტური მექანიზმები.

საკვლევ ჯგუფს წარმოადგენს 2008 წლის საომარ მოქმედებებში მონაწილე ომის ვეტერანები. კვლევაში გამოიკითხა 7 რესპოდენტი.

საკვანძო სიტყვები: ომის ვეტერანი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, გამკლავების მექანიზმები.

Abstract

The recent history of Georgia is quite loaded with the experience of war and hostilities, the experience of many countries around the world and relevant studies show that the experience of war, as a combination of traumatic and stressful events, has a significant impact on the mental health of people who fall within the area of influence of these events.

This study aims to examine the mental health difficulties associated with the experiences of war veterans and what coping mechanisms they used/used to deal with the changed reality and their own situation. The study was conducted using a qualitative research method, in particular, an in-depth interview method was used.

The pre-designed in-depth interview guide was developed taking into account the following topics: demographic and socioeconomic characteristics (age, gender, education, employment, socioeconomic status, veteran status - involvement in hostilities and time of granting status); current mental health difficulties and needs of both the veteran and his family members; access to services - to whom and why they apply or cannot apply; coping strategies.

The research team is the war veterans participating in the 2008 hostilities.

The survey interviewed 7 respondents.

Results: Physical and mental health difficulties as well as effective and less effective coping strategies were identified among the surveyed respondents.

Keywords: war veteran, mental health, coping strategies.